

**ლადო პაპავა:**  
**“ოპოზიცია საპროტესტო აქციებისათვის  
უნდა მოემზადოს”**

გაზეთი “ახალი თაობა” – 13 თებერვალი, № 36, 2012 წელი.

**ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ ლადო პაპავასთან**

– ბატონო ლადო, აშშ-ს და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის თაობაზე ლეიბორისტები ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი ობამა მოუმზადებელი იყოს. მან დადებითად შეაფასა რეფორმები პოლიციის უწყებაში, ავღანეთში ქართველი სამხედროების ყოფნა და ა.შ. ამით ობამამ საკუთარი ქვეყნის ინტერესები გამოკვეთა?

– ვფიქრობ, ამ კითხვას ძალიან კარგად გასცა პასუხი ამერკაში მოღვაწე ექსპერტმა თომას დე ვაალმა. მან თქვა: ობამას, პირველ რიგში, თავისი პრობლემები აქვს არჩევნებთან დაკავშირებით; მას რესპუბლიკელები აკრიტიკებენ იმისათვის, რომ დაიწყო ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა რუსეთთან, რაც წარმატებული არ აღმოჩნდა და რომ ობამას ადმინისტრაცია დაინტერესებულია რუსეთთან დაახლოებით. ობამას უნდოდა ამ შეხვედრით სწორედ ის ეჩვენებინა, რომ არამარტო რუსეთთან არის მზად სათანამშრომლოდ, არამედ რუსეთის ყველაზე სერიოზულ რეგიონალურ მტერთანაც კი. ამიტომ ჰქონდა საქართველოს ხელისუფალთან შეხვედრა და ასეთი მხარდამჭერი რიტორიკა.

– იყო ინფორმაცია, რომ ამერიკამ დაიწყო ფინანსური ხარჯების მონიტორინგი საქართველოსთან მიმართებაში, ანუ რაში დაიხარჯა დახმარებები. საზოგადოებაც და პოლიტიკოსებიც უფრო მკაცრ შეფასებებს ელოდა.

– მსგავსი საუბრისთვის სააკაშვილს ობამა არ მიიწვევდა. შეხვედრის დროს აშშ-ის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტს ყურს არ აუწვევს და კუთხეში არ დააყენებს. თუ სააკაშვილი კუთხეში დასაყენებელია, მას იქ არავინ არ მიიწვევს. ყურის ამწვევიც და კუთხეში დამყენებელიც ყოველთვის მოიძებნება. გაიხსენეთ, როდესაც შევარდნაძეს პრობლემები შეექმნა პენსიაზე გასული ბეიკერი გამოუგზავნეს თბილისში, ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულების

გადასაცემად. მე ლოგიკურად მიმაჩნია თომას დე ვაალის მოსაზრება, რომ ეს შეხვედრა სწორედ ამერიკის შიგა მოხმარებისთვის შედგა.

**– ამ შეხვედრის ეკონომიკურ ნაწილზე ვისაუბროთ. ფაქტია, საქართველოში დასავლური კაპიტალი არ შემოდის. რას ნიშნავს აშშ-ს მხრიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ განცხადება?**

– საერთოდ, ამერიკა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მინიჭებასთან დაკავშირებით საკმაოდ ძუნწი ქვეყანაა, თუ შეიძლება ეს ასე ითქვას. მსოფლიოში მას თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მხოლოდ 19 ქვეყანასთან აქვს. ამ 19 ქვეყნიდან, რვასთან აქვს როგორც ქვეყანათა ამა თუ იმ ჯგუფის წევრთან. მაგალითად, „ნაფტა“ არის ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება მექსიკასთან და კანადასთან. აგრეთვე აქვს კიდევ ექვს სხვა სახელმწიფოსთან როგორც ერთიან ჯგუფთან. აშშ-ს ევროკავშირის არც ერთ ქვეყანასთან არ აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. დასრულების პროცესშია თავისუფალი რაჟიმის გაფორმება კორეასთან. თუმცა საკითხი აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის, ანუ ტრანსატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ, ჯერ მხოლოდ განხილვის სტადიაზეა. ამიტომ ვამბობ, რომ ამერიკა ამ კუთხი „ძუნწი“ ქვეყანაა. რიგში არის კიდევ 20 ქვეყანა, რომლებთანაც ამერიკას აქვს დაწყებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე საუბარი. ასე რომ, საქართველო ალბათ ამ ჩამონათვალში აღმოჩნდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი ხვალ-ზეგ, ან რამდენიმე წელში დასრულდება. დიდი იმედით ამას არ უნდა ვუყუროთ, რადგან ქარტიას ხელი მოეწერა 2009 წლის იანვარში, სამი წლის წინ, სადაც ჩაიწერა, რომ ამერიკა მზად არის იმუშაოს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით. სამი წელი დაგვჭირდა იმისათვის, რომ ამერიკას ეთქვა, მზად ვართ, დავიწყეთ ეს მოლაპარაკებაო. რამდენი წელი დაგვჭირდება რეალურად რომ შემდეგ ამას მივადწიოთ, ამის თქმა ძნელია. დიდი იმედის მომცემი ეს არ არის, რადგან ჩვენ გვაქვს მაგალითი – თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან, რომელიც 2008 წლის სექტემბრიდან გააქტიურდა, მას შემდეგ, როცა დამთავრდა რუსულ-ქართული ომი და მხოლოდ 2011 წლის დეკემბერში გაცხადდა, რომ ჩვენ გადავდივართ ოფიციალური მოლაპარაკების რეჟიმში ბრიუსელთან. სამ წელზე მეტი დაგვჭირდა ოფიციალური მოლაპარაკებების დასაწყებად. ხოლო სააკაშვილმა 2011 წლის თებერვალში თქვა, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ 2015 წელს გვექნებაო. მან პრაქტიკულად 5 წლიანი ინტერვალი აიღო. ამ დროს ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას ძალიან დიდი

მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ჩვენ გეოგრაფიულად ევროპული სახელმწიფო ვართ. ჩვენი ინტეგრაცია თუ სადმე არის შესაძლებელი, ევროკავშირია. ამერიკასთან ინტეგრაცია პრინციპულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ იმ შესაძლებლობას, რასაც ბრიუსელი გვაძლევს, არ ვიყენებთ. ახლა რამდენად გამოვიყენებთ იმ შესაძლებლობას, რასაც ვაშინგტონი მოგვცემს, აქ რატომ უნდა ვიყოთ ოპტიმისტები. აქ არის კიდევ ერთი ასეთი მომენტი: მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოა, რომლებსაც აქვთ ერთდროულად ევროკავშირთანაც და ამერიკასთანაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. სულ მსოფლიოში სამია ასეთი ქვეყანა: ისრაელი, ჩილე და ახლა უკვე კოლუმბიაც. დანარჩენებს ერთდროულად ევროკავშირთანაც რომ ჰქონდეს და ამერიკასთანაც თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, ასეთი ქვეყნები მსოფლიოში არ არის. დასრულების პროცესშია სამხრეთ კორეის მიერ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება ევროკავშირთან და ასევე აშშ-სთან. ის უკვე იქნება მეოთხე სახელმწიფო. ჩვენ ვიქნებით თუ არა მეხუთე, არ ვიცი. ძალიან კარგი იქნება, თუ ვიქნებით მეხუთე. აქ დგება ასეთი საკითხი: ის პირობები, რა პირობებსაც ჩვენ გვიყენებს ბრიუსელი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მოსაპოვებლად ევროკავშირთან, რამდენად თავსებადი იქნება იმ პირობებთან, რომელსაც წავგიყენებს ვაშინგტონი აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მოსაპოვებლად. მე მეშინია, რომ თბილისმა შეიძლება დაიწყოს ცუდი თამაში, რომ ისეთი პირობებისკენ უბიძგოს ვაშინგტონს, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა ბრიუსელის პირობებთან. იმიტომ, რომ ბრიუსელის პირობების შესრულება რომ სდომებოდა თბილისს, ამდენი ხანი შეასრულებდა კიდევ მათ და დღეს ქვეყანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევასთან ახლოს იქნებოდა. მაგრამ ეს ყველაფერი არის დროში ხელოვნურად გაწედილი პროცესი. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ერთმანეთში მოილაპარაკონ იმასთან დაკავშირებით, რომ შესაბამისი პირობები თუ ერთმანეთს არ დაემთხვევა, ურთიერთგამომრიცხავი მაინც არ იყოს, თორემ აშკარაა, რომ დღევანდელ რეჟიმს ყველაზე მეტად აწყობს, რომ ეს პირობები ურთიერთგამომრიცხავი იყოს. ერთი მომენტიც არის გასათვალისწინებელი: აშშ-ს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი სინგაპურთან, ხოლო ევროკავშირს არა აქვს. შეიძლება სწორედ ეს თემა შეიძლება იქნას გამოყენებული ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რომ ყველანაირად შეფერხდეს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მიღწევა. მით უფრო, რომ ვაშინგტონში მყოფმა სააკაშვილმა თქვა, რომ საქართველო არის

ევროპული ქვეყანა, მაგრამ დაემგვანება სინგაპურსო. კაცმა არ იცის, ეს როგორ არის შესაძლებელი, მაგრამ მან ეს განცხადება გააკეთა.

– ბატონო ლადო, ვის ინტერესებშია უფრო ეს თავიუსფალი ვაჭრობის რეჟიმი, ქართული მხარის თუ ამერიკის?

– რა თქმა უნდა, პირველ რიგში ქართული მხარის. იმიტომ, რომ ამერიკა ჩვენს გარეშეც ძალიან კარგად გრძნობს თავს, ამერიკის ეკონომიკა მსოფლიოში ხომ ყველაზე წარმატებულია...

– მაგრამ, როდესაც ქვეყანა ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, მან ხომ უნდა იცოდეს რეალურად რა მდგომარეობაა ეკონომიკური კუთხით საქართველოში?

– რა თქმა უნდა. ამიტომ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოლაპარაკებების სტადია დროში საკმაოდ გაიჭიმება. მით უფრო, რომ ვაშინგტონიც არჩევნებით იქნება ამ წელს დაკავებული და თბილისიც. აქედან გამომდინარე, 2012 წელს რაღაც გარღვევა ამ მიმართულებით ნაკლებადაა მოსალოდნელი. დღეს, ამ ეტაპზე მოცემულ განცხადებას უფრო პიარდატვირთვა აქვს, ვიდრე რეალური განხორციელების შესაძლებლობა.

– როგორ უნდა გაიგოს ობამას განცხადებები ოპოზიციამ, განსაკუთრებით ივანიშვილმა, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით მოსვლის პირობა დადო?

– მთავარია, როგორი განცხადებებიც არ უნდა კეთდებოდეს დასავლეთში, პირველ რიგში, ოპოზიცია უნდა დაეყრდნოს თავის ამომრჩეველს. იგივე ეგვიპტის მაგალითი გვაჩვენებს, რომ თუ ხალხი არის მოქმედი რეჟიმის წინააღმდეგი, დასავლეთიც ამ ხალხის მხარესაა.

– ანუ აქტიური საპროტესტო გამოსვლებია საჭირო რეალური ცვლილებებისთვის?

– ოპოზიცია აქტიური პროტესტისთვის უნდა მოემზადოს, თუმცა არჩევნებამდე მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მივიდეს. ხოლო თუ არჩევნების გაყალბება ოპოზიციას უნდა აღმოაჩნდეს ის რესურსი, რომ ხალხი დარაზმოს საკუთარი ხმების დასაცავად. გზა ქვეყანაში წარმატების, უბრალოდ არ არსებობს. თუ არა და, ამ “ნაციონალურ სიბნელეში” ვიქნებით.

**შორენა კოწოწაშვილი**